ISSN 1512-2018

მუსიკისა და ხელოვნების დარგების ინტეგრაციის მნიშვნელობა მოსწავლეთა აღზრდის პროცესში

მაგდა თხილავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი. თამარ მეფის ქ. #59

რეზიუმე:
საჯარო სკოლის მიზანია პიროვნების ესთეტიკური კულტურის ფორმირება, რაც გულისხმობს ხელოვნების დარგების ინტეგრირებულ სწავლებას.
ესთეტიკური კულტურის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუსიკისა და პოეზიის ურთიერთკავშირი. გაკვეთილზე, სიმღერის შესწავლისას, მნიშვნელოვანია ვაკვირდებოდეთ ბგერისა და სიტყვის წარმოთქმის კულტურას, ანსამბლის გრძნობას, ლექსის ტექსტზე მუშაობას, ტემპს, დინამიკას, სიმღერის ლექსის გამომეტყველებით წაკითხვას ტემპში, რთული და გაუგებარი სიტყვების მარტივად, ბავშვებისთვის გასაგებად განმარტებას...
სახვითი ხელოვნებისა და ლიტერატურისა დახმარებით საინტერესო და სახალისოა თეორიული მასალის სწავლება. ხშირად უნდა მივმართოთ მუსიკალური ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილების ნახატით გადმოცემის ხერხს. მსგავსი მეთოდები ხელს უწყობს აღქმის გაღრმავებას. ხელოვნების დარგებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე ნათელი წარმოდგენისთვის გაკვეთილზე შეიძლება გამოვიყენოთ ვენის დიაგრამა. მოსწავლეთა მუსიკალური გამოცდილებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით საინტერესოა გაკვეთილზე მუსიკალური კროსვორდებისა და რებუსების გამოყენება.
ბავშვებისთვის საინტერესოა კინოხელოვნების თემა. შემოქმედებითი დავალების შესასრულებლად ბავშვებს შევთავაზებთ: სხვადასხვა მულტიპლიკაციური და საბავშვო ფილმებიდან სიმღერების ამოცნობას და შეძლებისდაგვარად მათ შესრულებას.
მუსიკისა და ხელოვნების დარგების ინტეგრირებული სწავლება მოსწავლეთა ესთეტიკური კულტურის ფორმირების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს მხატვრული გემოვნების, შეფასებისა და მსჯელობის უნარის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრაცია, მუსიკა, პოეზია, სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო.

შესავალი.

საჯარო სკოლის მიზანია პიროვნების ესთეტიკური კულტურის ფორმირება, რაც გულისხმობს ხელოვნების დარგების ინტეგრირებულ სწავლებას. „ინტერესის გაღვიძებას დიდად შეუწყობს ხელს ინტეგრირებული სწავლება. ინტეგრირება შეიძლება ვიზუალურ ხელოვნებასთან (კომპოზიტორის პორტრეტი, საქართველოს რომელიმე კუთხის ხედი, მუსიკით მიღებული შთაბეჭდილების დახატვა...), თეატრალურ ხელოვნებასთან (ეტიუდი, მუსიკალური სპექტაკლი, წარმოდგენის

ISSN 1512-2018

მუსიკალური გაფორმება...), ცეკვასთან (მუსიკით გამოწვეული ემოციის გადმოცემა სხეულის მოძრაობით, ცეკვის ილეთების შესწავლა), პოეზიასთან, ლიტერატურის ნიმუშებთან (მუსიკალური ნაწარმოების ლიტერატურული პირველწყარო, ვოკალური ნაწარმოებების ტექსტები)...“ [1, გვ. 3]. ხელოვნების დარგები ბავშვის მუსიკალურ და ზოგადად, ესთეტიკურ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გალაკტიონს მიაჩნდა, რომ ნამდვილი პოეტი იმ მუსიკას ეძებს, რომელიც ყოველ საგანს გააჩნია. განსაკუთრებით ლექსის წერის დროს იყო გალაკტიონი სიმღერის ხასიათზე. გონებაში მუსიკალურად გამართულ ლექსს პოეტი თავისთვის დაამღერებდა და შემდეგ გადაჰქონდა იგი ქაღალდზე.

სიმონ ჩიქოვანის აზრით, ჭეშმარიტი პოეტის თანდაყოლილი თვისება შინაგანი მუსიკალობაა. მას მუსიკა როგორც პოეზიის, ასევე პროზის სრულყოფისთვისაც მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

მუსიკისა და პოეზიის ინტეგრაცია. ესთეტიკური კულტურის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუსიკისა და პოეზიის ურთიერთკავშირი. ვოკალური ჟანრების შესწავლისას ამ ორი ხელოვნების სინთეზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პოეზიისა და მუსიკის ინტეგრაციის შესანიშნავი მაგალითია სიმღერა. როგორც ვიცით, ვოკალური მუსიკის შინაარსში, მელოდია და პოეტური ტექსტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. გაკვეთილზე, სიმღერის შესწავლისას, მნიშვნელოვანია ვაკვირდებოდეთ ბგერისა და სიტყვის წარმოთქმის კულტურას, ანსამბლის გრძნობას, ლექსის ტექსტზე მუშაობას, ტემპს, დინამიკას, სიმღერის ტექსტის გამომეტყველებით წაკითხვას ტემპში, რთული და გაუგებარი სიტყვების მარტივად, ბავშვებისთვის გასაგებად განმარტებას... სიმღერის ტექსტი ბავშვებს ეხმარება შინაარსის გააზრებაში და ხელს უწყობს პატარებს სიმღერის მელოდიის ზუსტად, გამომხატველად ინტონირებაში. მუსიკის ხასიათისა და შინაარსის წვდომისა და მხატვრული შთაბეჭდილებების გაღრმავებისთვის ხშირად უნდა მივმართოთ საბავშვო ლიტერატურას. მაგალითად, ჩვენ მიერ შეთავაზებული სიმღერა “ბურატინოს” შესწავლისას, პატარებს სასიმოვნო ასოციაციები ჰქონდათ ალ. ტოლსტოის ზღაპრის “ბურატინოს” და მულტიპლიკაციური ფილმის “პინოქიოს” ცოდნის გამო. გაირკვა, რომ ზოგიერთმა მათგანმა იცოდა ეს ნაწარმოები ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე.

მრავალმა კომპოზიტორმა მუსიკის საშუალებით არაერთი პოეტური შედევრი აამეტყველა. მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ, რომ გარდა სიმღერისა, ამ ორი ხელოვნების სინთეზით სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები იქმნება: ოპერა, კანტატა, ორატორია, მუსიკალური კომედია.

რიტმი ემოციური ზემოქმედების გაძლიერების საშუალებაა. რიტმის გარეშე წარმოუდგენელია როგორც მუსიკის, ასევე პოეზიის არსებობა. რიტმი თანაზომიერი ერთეულების პერიოდული გამეორებაა. პოეტური რიტმი შინაგანი აუცილებლობით უკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეროვნულობას, შემოქმედის ინდივიდუალობას... პოეზიაში რიტმმა გააძლიერა ჟანრული ემოციურობა. ლექსში მეტრთან ერთად, რიტმის ძირითადი კომპონენტებია ტემპი, ინტონაცია და ა. შ. მუსიკაშიც და პოეზიაშიც რიტმი განსაზღვრავს ნაწარმოებში მახვილების განლაგებას, ტემპს, ჟანრულ მხარეს... მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების ორივე დარგი აგებულია თანაბრად განვითარებული რიტმით, მუსიკალური ფრაზა უფრო გრძელია, ლექსისა კი ვითარდება განსხვავებული რიტმით. ამის თვალსაჩინო მაგალითია ერთსა და იმავე ტექსტზე შექმნილი ვოკალური ნაწარმოებები, რომლებიც განსხვავებული რიტმული სურათითაა გადმოცემული.

ISSN 1512-2018

ინტონაცია მჭიდრო კავშირშია მეტყველებასთან. ინტონაციას პოეზიაში ევფონიური ხერხები ქმნიან. ევფონია ბერძნული სიტყვაა და კეთილხმოვანებას ნიშნავს. მას განეკუთვნება რიტმი, რითმა, დისონანსი და ა. შ. ევფონია ლექსში ასრულებს ინტონაციური საყრდენის როლს. მუსიკაში კი ინტონაციას ქმნის კილო - ტონალობა, ინტერვალები, რიტმი, მახვილი, პაუზა... მუსიკაშიც და პოეზიაშიც რიტმი ინტონაციის გარეშე წარმოუდგენელია. ინტონაცია ორივე ხელოვნების გამომსახველობის საშუალებაა. ინტონაცია და რიტმი გვაძლევს საშუალებას მუსიკით გადმოვცეთ ხასიათი და იდეები.

ტემპი მჭიდრო კავშირშია ნაწარმოების ხასიათთან. მუსიკაშიც და პოეზიაშიც ტემპი გამოხატავს განცდის მდგომარეობას. მაგალითად, თუ შევადარებთ ერთმანეთს გრ. აბაშიძისა ლექსს „დედა ენასა“ („გვიყვარს როგორც იავნანა, როგორც ტკბილი ზღაპარი, საქართველოს ცა და მიწა, საქართველოს მთა - ბარი. იგი ქვეყნის თვალი არი, ზურმუხტ-ლალი ჰფენია, ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ ალისფერია“) და მ. ლებანიძის ლექსს „ტურფა გაზაფხული მოვა“ („ტურფა გაზაფხული მოვა, ტურფა გაზაფხული მოდის, ამას მეუბნება თოვა და სითეთრე ტყემლის ტოტის. ამას მეუბნება გროვა, ენძელის და კორჩიოტის, ტურფა გაზაფხული მოვა, ტურფა გაზაფხული მოდის“), ორივე ლექსის ტემპი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია. პირველი ლექსი თავისი განწყობით აუჩქარებელ, ნელ ტემპს მოითხოვს. ხოლო მ. ლებანიძის ზემოაღნიშნული ლექსი თავისი ხასიათით უფრო მოძრავია და ჩქარ ტემპს ითხოვს. ორივე ამ ლექსზე შესანიშნავი სიმღერები შექმნეს თანამედროვე და ყველასთვის საყვარელმა კომპოზიტორებმა, ქართული საბავშვო მუსიკის შესანიშნავმა წარმომადგენლებმა მ. მერაბიშვილმა და რ. ხორავამ. თავისი ხასიათითა და განწყობილებიდან გამომდინარე, ორივე სიმღერის შესრულების ტემპი განსხვავებულია ერთმანეთისგან. მ. მერაბიშვილის „დედა ენა“ სრულდება ნელი ტემპით, რ. ხორავას „ტურფა გაზაფხული მოვა“ ჩქარ ტემპშია დაწერილი.

სახვითი ხელოვნების როლი მუსიკის სწავლებისას. ინტეგრირებული სწავლების მიზნით, გაკვეთილზე თვალსაჩინო მასალად უნდა ხდებოდეს ცნობილი მხატვრების (ე. ახვლედიანის, ნ. ფიროსმანის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ა. სავრასოვის, ი. ლევიტანის და სხვ.) რეპროდუქციების გამოყენება. ხშირად უნდა მივმართოთ მუსიკალური ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილების ნახატით გადმოცემის ხერხს. მსგავსი მეთოდები ხელს უწყობს აღქმის გაღრმავებას. ბავშვებს მუსიკალური სახეების დახატვას ვთავაზობთ როგორც კლასში, ასევე სახლში. გთავაზობთ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ რამდენიმე ნახატს:

ISSN 1512-2018

სახვითი ხელოვნებისა და ლიტერატურის დახმარებით საინტერესო და სახალისოა თეორიული მასალის სწავლება. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სახალისო ლექსები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის საშუალებითაც ბავშვები მარტივად სწავლობენ მუსიკის რთულ და მრავალფეროვან ენას და რაც მთავარია, მათ უჩნდებათ ინტერესი მუსიკის სწავლისადმი და ხალისით ასრულებენ მათზე დაკისრებულ სხვადასხვა დავალებას. გთავაზობთ ლექსებისა და ფერადი ნახატების გამოყენებით ძირითადი საფეხურების ახსნას მუსიკალური კიბის სახით, სადაც მესამე და მეხუთე საფეხურზე „სხედან“ მყარი საფეხურები: „მი“ – III საფეხური, „სო“ – V საფეხური. ვუკითხავთ ლექსს და ვთავაზობთ ნახატს, რომელიც სწორედ ამ საფეხურებს ეძღვნება:



”კიბის შვიდსავ საფეხურზე,
შვიდ ბგერას აქვს საბუდარი
და შვიდივეს სათითაოდ,
სახელი აქვს საკუთარი
“სო” მეხუთე, “მი” მესამე,
კიბეზეა ჩამომჯდარი
მტკიცე ხასიათის გამო,
საფეხური ჰქვიათ მყარი” [2, გვ. 9].

ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების დახმარებით ბავშვები სწრაფად ითვისებენ მუსიკის თეორიის რთულ საკითხებს.

ვენის დიაგრამა, მუსიკალური კროსვორდები და რებუსები, როგორც ცოდნის გაღრმავებისა და განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება. ხელოვნების დარგებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე ნათელი წარმოდგენისთვის გაკვეთილზე შეიძლება გამოვიყენოთ ვენის დიაგრამა. ვენის დიაგრამა არის ორი ან მეტი ერთმანეთზე გადაჯაჭვული წრე. იგი გამოიყენება კონტრასტული აზრების და/ან ინფორმაციას შორის მსგავსების სადემონსტრაციოდ. მაგალითად, თუ გვჭირდება ერთმანეთს შევადაროთ ლიტერატურული და მუსიკალური მეტყველება, დავხატავთ ორ გადაჯაჭვულ წრეს. ერთ წრეში ჩავწერთ სიტყვიერი მეტყველებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მეორეში კი – მუსიკალური მეტყველებისთვის, შუა წრეში ჩაიწერება საერთო ანუ მსგავსი ნიშნები. აღნიშნული დიაგრამა გამოიყურება ასე:

ვენის დიაგრამა



ISSN 1512-2018

მოსწავლეთა მუსიკალური გამოცდილებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით საინტერესოა გაკვეთილზე მუსიკალური კროსვორდებისა და რებუსების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მუსიკალური ენის თავისებურებების, მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურის, სანოტო ანბანის და ზოგადად, მუსიკის შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. აძლიერებს სიყვარულსა და მოთხოვნილებას მუსიკის, როგრც საგნის მიმართ. გთავაზობთ მუსიკალური კროსვორდისა და რებუსის მაგალითებს:

1. რიგით მესამე ბგერა
2. ოთხი მომღერლისგან შემდგარი ანსამბლი
3. სიმებიანი საკრავი
4. ნიშანი, რომელიც ერთდროულად გამოხატავს ბგერის სიმაღლეს და გრძლიობას
5. ზ. ფალიშვილის ერთ-ერთი ოპერა
6. საბავშვო ოპერა „ქაჯანას“ ავტორი
7. ქართული ხალხური ცეკვა, რომელსაც ასრულებს ქალთა სამეული.





ISSN 1512-2018

მუსიკის როლის შესახებ კინოსა და თეატრში. ბავშვებისთვის საინტერესოა კინოხელოვნების თემა. მოსწავლეებს განვუმარტავთ, რომ ხელოვნების ეს დარგი მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე წარმოიქმნა, რომ კინოფილმებში ხელოვნების ცალკეული ელემენტის ერთობლიობა მხატვრულ მთლიანობას ქმნის. გაკვეთილზე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ფილმი უხმო და შავ-თეთრი იყო. მუნჯი კინოს პერიოდში ეკრანზე მხოლოდ მოძრავი გამოსახულებები ჩნდებოდა. დროთა განმვლობაში მზადდებოდა ხმოვანი კინოს გადაღების საფუძველი. თავდაპირველად ბგერისა და გამოსახულების სინქრონი ვერ ხერხდებოდა, თუმცა კარგად გამოდიოდა მუსიკისა და ცოცხალი გამოსახულების გამოყენება. გახმოვანებამ ხელი შეუწყო მოქმედი გმირის ფსიქოლოგიას. ხმის შემდეგ, ეკრანზე გაჩნდა ფერი, რაც ამდიდრებდა ფილმის ესთეტიკურ მხარეს.

ქართული კინოს პირველი ნაბიჯები გადაიდგა ფილმით „არსენა ჯორჯიაშვილი“ (შალვა დადიანის სცენარის მიხედვით, რეჟისორი ივანე პერესტიანი). ქართულმა კინომ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია. იგი ერთ-ერთი ძლიერი და გამორჩეული დარგია ხელოვნებისა. ყურადღებას გავამახვილებთ ქართულ საბავშვო ფილმებზე. მაგალითად, მ. დავითაშვილის - „მანანას სიმღერის“ შესწავლის დროს, გაკვეთილზე ვსაუბრობთ კონოფილმ „მანანას“ შინაარსზე: დედის გარდაცვალების შემდეგ პატარა მანანა ბებიასთან და ბაბუასთან იზრდებოდა. მოხუცები ძალიან ანებივრებდნენ უდედოდ დარჩენილ შვილიშვილს, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ბავშვის ყოფაქცევაზე. მანანა არავის უჯერებდა, აცდენდა გაკვეთილებს, თავის ნებაზე დადიოდა, გახდა მატყუარა... თუმცა, ბოლოს, გოგონას შერცხვა თავისი უმსგავსი საქციელის გამო და პირობა დადო, რომ გახდებოდა სამაგალითო მოსწავლე. მან ეს პირობა ღირსეულად შეასრულა. გაკვეთილზე ვსაუბრობთ და ბავშვებს გავაცნობთ აღნიშნული ფილმის სცენარის ავტორს (ე. გედევანიშვილი), რეჟისორს (ზ. გუდავაძე, შ. მარტაშვილი), მხატვარს (თ. მირზაშვილი), მონაწილე მსახიობებს (ნ. სარაჯიშვილი, ს. თაყაიშვილი, ა. ჟორჟოლიანი, ი. ტრიპოლსკი, მ. ჩახავა, ი. ხვიჩია და სხვ.), ავაჟღერებთ ფილმის მუსიკას და ვისაუბრებთ მის კომპოზიტორ - მერი დავითაშვილზე და ა. შ. სასურველია გაკვეთილზე მოსწავლეებს ვაჩვენოთ ნაწყვეტები კინოფილმიდან.

მოსწავლეებს ვუხსნით, რომ ნახატი ფილმის შექმნაში მრავალი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი ღებულობს მონაწილეობას, თუმცა, მათ შორის, მთავარი და წამყვანი ადგილი უჭირავს მხატვარს. პირველი ქართული მულტიპლიკაციური ფილმია „არგონავტები“ (1935 წ.). ვლ. მუჯირის რეჟისორობით, მხატვარი - ლადო გუდიაშვილი, მუსიკა - შალვა აზმაიფარაშვილის.

მულტიპლიკაციური ფილმები იქმნება სულიერი და უსულო საგნების, ცალკეული, თანმიმდევრული მომენტების გადაღებით. მულტიპლიკაციური ფილმებისთვის დამახასიათებელია კადრობრივი გადაღების გამოყენებით პერსონაჟების „გაცოცხლება“ (ლათინური სიტყვა „მულტიპლიკაცია“ გამრავლებას ნიშნავს). მულტიპლიკაციის ფუძემდებლად ითვლება ფრანგი მხატვარი-კარიკატურისტი ე. კოლი. გაკვეთილზე მარტივი მეთოდით შეგვიძლია გავაცოცხლოთ ნახატი: „საერთო რვეულის ერთ-ერთ განაპირა კუთხეში დავხატოთ ადამიანის ან რომელიმე ცხოველის ფიგურა. იგი გადავხატოთ შემდეგი ფურცლების იმავე კუთხეებში შეცვლილ პოზებში, ცალკეული, თანმიმდევრული ფაზების (მომენტების) მიმდევრობით. ამის შემდეგ დავკეცოთ რვეული, დავიკავოთ

ISSN 1512-2018

იგი მარცხენა ხელში და მარჯვენა ხელის ცერით დავღუნოთ ის კუთხე, სადაც ნახატებია მოთავსებული. ნელ-ნელა თითს ავუშვებთ, რვეულის გვერდები სწრაფად გადაიფურცლება და ნახატი ჩვენს თვალწინ „ამოძრავდება“ [3, გვ. 379-380]. შემოქმედებითი დავალების შესასრულებლად ბავშვებს შევთავაზებთ: სხვადასხვა მულტიპლიკაციური და საბავშვო ფილმებიდან სიმღერების ამოცნობას და შეძლებისდაგვარად მათ შესრულებას; ამ ფილმების მუსიკის ავტორის, რეჟისორის, მხატვრის, მსახიობების დასახელებას; მათი საყვარელი გმირის დახატვას; ფილმის ნახვით მიღებული შთაბეჭდილების ნახატით გადმოცემას; იგავ - არაკების ინსცენირებას...

თეატრი ადამიანის ესთეტიკური, ზნეობრივი და კულტურული აღზრდის მძლავრი საშუალებაა. იგი ასახავს ადამიანის შინაგან სამყაროს. მუსიკას თეატრში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს პიესის იდეური ჩანაფიქრის ხორცშესხმას.

მუსიკალურ თეატრში მოქმედება ხორციელდება მუსიკალური დრამატურგიის საშუალებით. საოპერო სპექტაკლში წამყვანია მუსიკა, რომელიც გადმოგვცემს ნაწარმოების აზრსა და იდეას. მასში მონაწილეობენ მომღერლები, გუნდი, ორკესტრი, მოცეკვავეები. ბალეტის შინაარსი გადმოცემულია საცეკაო მოძრაობებით მუსიკის თანხლებით. მასში მუსიკა, ცეკვა და სასცენო მოქმედებაა გაერთიანებული. განსაკუთრებით დიდია და გადამწყვეტი მუსიკის როლი მულტიპლიკაციურ და თოჯინურ ფილმებში, სადაც მუსიკა ფილმის დრამატურგიის მაორგანიზებელ საშუალებას წარმოადგენს.

თეატრს ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დიდია პატარების ინტერესი თოჯინების თეატრის მიმართ, რომელიც საწყისს შორეულ წარსულში იღებს. თოჯინების თეატრი დიდ სიამოვნებას ანიჭებს პატარებს. იგი ხელს უწყობს ბავშვის ინტელექტუალური დონის ამაღლებას. ზღაპრის სიუჟეტზე შექმნილი სპექტაკლები პატარებისთვის ახლობელი და გასაგებია. დიდია ბავშვების მოლოდინი ამა თუ იმ პერსონაჟის თავგადასავლის მიმართ, მათთან ერთად განიცდიან ყოველი მოქმედი პირის მდგომარეობას. პატარები დარბაზიდან ხმამაღალი შეძახილებით ატყობინებენ და აფრთხილებენ ზღაპრის გმირებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. საბავშვო თეატრის აუდიტორია თავისი რეაქციით (უადგილო სიცილი, შეძახილები, ტაში...) განსხვავებულია მოზრდილთა აუდიტორიისგან. კეთილის ბოროტზე გამარჯვების შემთხვევაში ბაშვებს დაძაბულობა ეხსნებათ და სიხარულით და ტაშით ეგებებიან სიკეთის გამარჯვებას.

სპექტაკლის ნახვის შემდეგ, სკოლაში, მუსიკის გაკვეთილზე, საჭიროა მოხდეს მისი გაანალიზება და შეფასება: რა სპექტაკლი ნახეთ? როგორი იყო სპექტაკლის შინაარსი; შეცვლიდით რამეს ამ სპექტაკლში? როგორ გადმოგვცა კომპოზიტორმა ამა თუ იმ გმირის მუსიკა; გაიხსენეთ სიმღერა, რომელსაც ასრულებს, მაგალითად, ღუნღულა; მოგეწონათ ეს სიმღერა? მოდით ვისწავლოთ ღუნღულას სიმღერა; ვინ არის კომპოზიტორი თქვენ მიერ ნანახი სპექტაკლისა? რომელი გმირი არ მოგეწონათ და რატომ? როგორ გადმოგვცა კომპოზიტორმა ბოროტი ხოჭო ხრაჭუნას მელოდია?..

უმცროსი ასაკის მოსწავლეებში თოჯინების თეატრის სპექტაკლების სისტემატური ნახვის შემდეგ, ყალიბდება და იღვიძებს მათში მეგობრობის, გულისხმიერების, თავაზიანობის და სხვა გრძნობები, საფუძველი ეყრება ბავშვების მორალური სახის ფორმირებას. სპექტაკლის მაღალი პროფესიული მუსიკალური

ISSN 1512-2018

გაფორმება, მხატვრული დეკორაციები, კოსტუმები, განათება, მსახიობის შესრულება ხელს უწყობს ბავშვებში მხატვრული გემოვნებისა და შეფასების უნარის გამომუშავებას. საბავშვო თეატრი და სპექტაკლის მუსიკალური ენა, კილო-ჰარმონია, მძაფრი საორკესტრო ხერხები, ინტონაციური სიმკვეთრე ხელს უწყობს ბავშვებში აზროვნების განვითარებას. თეატრი ყოველთვის ჩართულია ბავშვის აღზრდის ფერხულში. იგი მოსწავლეებზე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გავლენას ახდენს.

დასკვნა. ამრიგად, მუსიკისა და ხელოვნების დარგების ინტეგრირებული სწავლება მოსწავლეთა ესთეტიკური კულტურის ფორმირების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს მხატვრული გემოვნების, შეფასებისა და მსჯელობის უნარის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა (საგნობრივი პროგრამა მუსიკაში). თბილისი, „ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი“. 2016 წ.
2. პოღოსოვი ო. სამუსიკო ანბანი. თბილისი, „ხელოვნება“. 1980
3. საუბრები ხელოვნებაზე. დამხმარე სახელმძღვანელო დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის. თბილისი, „მერიდიანი“. 1999 წ.

სტატია მოიცავს: 5 ნახატს, 1 ნახაზს (ვენის დიაგრამას) და 1 ცხრილს (კროსვორდს)

Article received: 2017-04-26